პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეგობართა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

ХВИРА, 19 ИЮНИЛИ, 1949 Г. № 121 (8424). ФАСИ 20 КАП.

ДЕСЕ ГАЗЕТАШИ:

მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ მრეწველობის მუშაობის შედეგები 1949 წლის მაისში (1-ლი გვერდი).
პროკაპანდისტთა კადრების მომზადება — „პრავდის“ 18/VI მოწინავე (მე-2 გვერდი).
ს. პეტროვი — ბოლშევიკების ბრძოლა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ (მე-2 გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი (მე-3 გვერდი).
გ. ნატროშვილი — სამხრეთ საზღვარზე (მე-3 გვერდი).
ვამრავლოთ საუკეთესო ხარისხის პროდუქციისათვის მებრძოლთა რიგები (მე-3 გვერდი).
შ. ჩუბინიძე — ტირიფონელების მშენებლებთან (მე-3 გვერდი).
საბჭოთა მშენებლობა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა გარემოსილია ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშობლიური ზრუნვით. მას ყველა პირობა აქვს შექმნილი დაეუფლოს მეცნიერების მეცნიერებას.

განვლილ სასწავლო წელს ჩვენმა სკოლებმა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს. გამოცდებზე თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორის, სოხუმის, ზუგდიდის, სიღნაღის, სამტრედიის, ორჯონიკიძისა და სხვა ქალაქებსა და რაიონების სკოლების მოსწავლეთა უმრავლესობამ მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნა.

მარტო ის ფაქტი, რომ თბილისის სკოლების 1.863 მეთერმეტეკლასელ მოსწავლეთაგან არც ერთს არ მიუღია 3-ზე დაბალი ნიშანი შობლიურ ენასა და ლიტერატურის წერითის საგამოცდო ნაშუშვალრში, ხოლო ნიშანი 5 მიიღო 618 მოსწავლემ, იმას მეტყველებს, რომ წელს ჩვენმა სკოლებმა დიდი მუშაობა გასწიეს ახალი თაობის სწავლა-აღზრდის გაუმჯობესებისათვის. საუკეთესო შედეგებია მოპოვებული დანარჩენ კლასებიც რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და სხვა საგნების შეთვისების მხრივ.

მოპოვებულ წარმატებათა განსამტკიცებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ მოემზადებიან სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის.

ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა მუდამ დიდ ყურადღებას უთმობენ სასწავლო წლისათვის მზადებას, სკოლების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას, სასკოლო შენობების, ინვენტარის რემონტს, მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საქმეს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიმდინარე წლის მაისში მიიღეს დადგენილება „სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების 1949-50 სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ“. ამ დადგენილებით დასახული ღონისძიებების განხორციელი გატარება უზრუნველყოფს სკოლების საუკეთესოდ მომზადებას ახალ სასწავლო წლისათვის.

მოზარდი თაობის აღზრდისათვის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამ ზრუნვის საუკეთესო პასუხია ის უდიდესი სახალხო მოძრაობა, რომელიც ყოველწლიურად ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დაწყებიდანვე ჩაღდება ჩვენს ქვეყანაში სკოლების უზრუნველსაყოფად შენობებით, ინვენტარითა და სხვა საჭირო მოწყობილობით. ამ მხრივ აღსანიშნავია თელავის, ხულოსა და ახაშის რაიონების მშრომელთა ინიციატივა, რომელებმაც იკისრეს ახალი სასწავლო წლისათვის შეაკეთონ სასკოლო შენობები და ინვენტარი, დაამზადონ და სკოლებში მიზიდონ ზამთრისათვის საჭირო შეშა, დროულად დაამუშაონ სასკოლო მიწის ნაკვეთები, საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარებასთან დაკავშირებით ახლად გახსნილი მეხუთე და მეთერთმეტე კლასები უზრუნველყონ ბინით, სასკოლო ინვენტარითა და სხვა მოწყობილობით.

საერთო გეგმით წელს პირველ სექტემბრამდე რესპუბლიკაში უნდა შეკეთდეს 4.277 სასკოლო შენობა, მათ შორის კაპიტალურად—364, და უნდა დასრულდეს 3.913 სასკოლო შენობის მიმდინარე შეკეთება. ყველა ამ მიზნისათვის წელს დაიხარჯება 21.291 ათასი მანეთი.

ეს უდიდესი საპასუხისმგებლო საქმეთაა. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა ორგანოების საბრძოლო ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობას, გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები, დროულად აითვისონ სკოლების მშენებლობისა და რემონტისათვის გათვალისწინებული თანხები და წარმატებით მოემზადონ ახალი სასწავლო წლისათვის. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის მზადება, სასკოლო შენობებისა და ინვენტარის შეკეთება არ შეიძლება მხოლოდ სკოლების დირექტორთა და სახალხო განათლების ორგანოთა საქმედ მივიჩნიოთ. სასწავლო წლისათვის მზადებაში მათ აქტიური დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომებმა, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და საზოგადო საბჭოებმა.

წელს პირველად ხორციელდება საყოველთაო სავალდებულო სწავლება სოფლად-8-წლიანი და ქალაქად საშუალო სკოლის ფორგლებში. ეს დიდ ამოცანებს აკისრებს განათლების ორგანოებს. საჭიროა ახლავე აღირიცხოს და მიღებულ იქნას ყველა ღონისძიება, რათა სკოლის გარეშე არ დარჩეს ოთხკლასდამთავრებული არც ერთი მოზარდი სოფლად და რეკალსადამთავრებული არც ერთი მოსწავლე ქალაქად.

კვლავ ცენტრალურ ამოცანად რჩება სკოლების დაკომპლექტება მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. დიდია მასწავლებლის როლი საბჭოთა საზოგადოებრივ პატრიოტთა აღზრდის საქმეში. ამიტომ ეპყრობიან ასეთი უდიდესი ზრუნვით საბჭოთა სკოლის მუშაკებს მთელი ჩვენი ხალხი, ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა. სახალხო განათლების ორგანოებმა, განათლების სამინისტრომ დროზე უნდა დაამთავრონ სკოლების დაკომპლექტება კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, შეიცალონ სუსტები და მათ მაგიერ სკოლებს გაუგზავნონ მცოდნე, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდით დაინტერესებული მუშაკები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით წელს საქართველოს რესპუბლიკაში უნდა გამოიცეს 3,1 მილიონი ეგზემპლარი სახელმძღვანელო. მართალია, განათლების სამინისტრო დიდი ხანია შეუდგა ახალი სასწავლო წლისათვის სახელმძღვანელოების გამოცემას, დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ნახმარი სტანდარტული სახელმძღვანელოების შეძენაც, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმძღვანელოების გამოცემასთან ერთად მთავარია მისი დროულად მიწოდება სწავლებისათვის. ამ მხრივ გასულ წლებში „საქწიგნმა“ სათანადოდ ვერ გაართვა თავი მუშაობას. საჭიროა წელს მეტი კონტროლი გაეწიოს „საქწიგნის“ მუშაობას, რათა უზრუნველყოთ სკოლებში სახელმძღვანელოების დროულად მიტანა. დიდი მოვალეობა აკისრიათ ამ მიმართულებით აგრეთვე ცეკავშირის და სხვა მოვაჭრე ორგანიზაციებს, რომლებსაც დავალებული აქვთ სახელმძღვანელოების მიწოდება მოსწავლეებისათვის.

რამდენიმე დღის შემდეგ დამთავრდება გამოცდები საშუალო სკოლებში. იწყება ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დღეები. სრულიად მომზადებული შეეხვდეთ 1949-50 სასწავლო წელს. ამ ამოცანის შესრულება ყველა პირობას შექმნის ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 2 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად **თამბაქოს** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საკალდებულო ჩაბარება და კონტრაქტაცია, ნატურანაზღაურება მტლების 1948 წლის მუშაობისათვის და მთლიანად უზრუნველყეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის წოდება** და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“:**

1. **აბაშიძეს** ახმედ შუგაების-ძე—ქედის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 0,3 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო ჰექტარზე 25 ცენტნერის ანგარიშით, ხოლო 2,7 ჰექტარზე ფართობის თვითეულ ჰექტარზე—19,1 ცენტნერი „სამსუნის ჯიშის თამბაქო.

2. **ნაკაშიძეს** ახმედ რიზმანის-ძეს—ქედის რაიონის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 18,1 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

3. **ნაკაშიძეს** ისრაფილ ოსმანის-ძეს—ქედის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 0,05 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო ჰექტარზე 25 ცენტნერის ანგარიშით, ხოლო 2,95 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—18 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

4. **ხალვაშს** მამუდ ახმედის-ძეს — ქედის რაიონის საქნავთის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 18,5 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1949 წ. 18 ივნისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. **ვ. ბ. გოგუას** თავმჯდომარეობით შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი ახმეტის, ჩოხატაურისა და წალენჯიხის რაიონებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების მდგომარეობის შესახებ.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ახმეტის, ჩოხატაურისა და წალენჯიხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა, სახალხო განათლების რაიონულმა ორგანოებმა და სკოლებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს საყოველთაო. საყალდებულო სწავლების განხორციელებისათვის. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომში პერიოდულად ისმენენ მოხსენებებს საყოველთაო სავალდებულო სწავლების მდგომარეობის შესახებ, ატარებენ საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად განხორციელებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს.

ამასთან ერთად საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეში ახმეტისა და წალენჯიხის რაიონებში ადგილი აქვს ნაკლოვანებებსაც. აღრიცხვაზე აყვანილ სასკოლო ასაკის ბავშვთა ნაწილი ჯერ კიდევ სკოლის გარეთ არის დარჩენილი, არის სკოლებიდან მოწაფეთა ერთგვარი განთესვაც სპპატიო მიზეზების უქონლად და სხვ.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების სახალხო განათლებისა და კულტურულ-საგანმათათლებელო მუშამივმიქმედი კომისიები ახმეტისა და წალენჯიხის რაიონებში საჭირო მუშაობას არ ეწევიან ზაყოველთაო სავალდებულო სწავლების განსახორციელებლად.

პრეზიდიუმმა მშრომელთა დეპუტატების ახმეტის, ჩოხატაურისა და წალენჯიხის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალა უზრუნველყონ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ჩაბმა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიან სწავლებაში. რაიონული საბჭოების აღმასკომებმა სისტემატიურად უნდა მოისმინონ საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე საყოველთაო სავალდებულო სწავლების მდგომარეობის საკითხები და მიღონონ ზომები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; გააძლიერონ მოსახლეობაში, განსაკუთრებით მთიან ადგილებში ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ჩაბან საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებისათვის მუშაობაში რაიონული და სასოფლო საბჭოების კულტურულ-საგანმანათლებელო კომისიები და სოფლის აქტივი.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ საჭირო დახმარება გაუწიონ უდიდესმამდე დარჩენილ ბავშვებს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონით გათვალისწინებული განათლების მიღებაში.

პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაავალა ადგილიერის კონტროლი რესპუბლიკაში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებისადმი, სისტემატიურად შეამოწმოს ცალკეულ რაიონებში მისი შესრულების მიმდინარეობა და მიიღოს ზომები საყოველთაო სავალდებულო სწავლებაში სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ჩაბმისათვის.

პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება საქართველოს სსრ სისტლის სამართლის კოდექსის 139[1] მუხლის შეცვლის შესახებ.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე ზოგიერთი სხვა საკითხი და მიიღო გადაწყვეტილებანი ამ საკითხებზე. (საქდესი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

საბჭოთა ფიზიკის პრიორიტეტი თვითლესკედი ინსტრუმენტების დამზადებაში

14 ივნისს აკადემიის ბ. ნ. იურინების თავმჯდომარეობით შედგა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ტექნიკის ისტორიის კომისიის სხდომა. მოხსენიელ იქნა მოხსენებები, რომლებიც აშუქებენ თვითლესკედი ინსტრუმენტების დამზადების ისტორიას, რომელთა შექმნაში უთუო პრიორიტეტი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის გამორჩეულ მოღვაწეს ა. ფ. ოგნატიევს ეკუთვნის.

ბ. ალექსეევმა, რომელმაც შეისწავლა ტექნიკის ამ ნოვატორის ცხოვრება და მოღვაწეობა, ილაპარაკა მისი ზრდასის მნიშვნელობაზე ისეთი ინსტრუმენტების შექმნის დარგში, რომლებიც მუშაობის პროცესში არ ცარცავენ თავიანთ მკრივლობითს თვისებებს. ასეთი ინსტრუმენტები შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული ქვის დამუშავებისათვის, ქვანახშირის მოპოვებისათვის, ბეტონისათვის და ა. შ. აღინიშნა, რომ საბჭოთა მეცნიერის გამოგონებაზე პატენტის აღების ბრალი წლის შემდეგ ეცხოვრის პრალში გამორჩენა მაჩალიანი, რომლებშიც მოცემულია ა. ფ. ოგნატიევის ინდუქციონ ინსტრუმენტების პირველი შემქმნელის სახელი.

ჩვენს მეცნიერთა წინაშე დგას ამოცანა — ბოლომდე დიფეცან საბჭოთა მეცნიერულ-ტექნიკური აზრის პრიორიტეტი ამ მნიშვნელოვან გამოგონებაში და შემდგომ განაგითარონ ინჟენერიის მეთოდი, რომლის გამოყენება დიდ სარგებლობას მოუტანს საბჭოთა მრეწველობის ფრაგალ დარგს. (საქდესი).

საქართველოს სსრ მრეწველობის მუშაობის შედეგები 1949 წლის მაისში

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა მაისში შეასრულა 98 პროცენტით. საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობამ გეგმა შეასრულა 108 პროცენტით, ხოლო რესპუბლიკურმა—94 პროცენტით.

1948 წლის მაისთან შედარებით მთელი მრეწველობის პროდუქციის ზრდა ულრის 16 პროცენტს.

რესპუბლიკის სამრეწველო სამინისტროთა შორის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულეს — სტყვიო და ქაღალდის მრეწველობის (გეგმა შესრულებულია 61 პროცენტით) და ქვების მრეწველობის (88 პროცენტით) სამინისტროებმა. დანარჩენმა სამინისტროებმა, აგრეთვე საერეწაო კოოპერაციამ შეასრულეს რა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა, ვერ შეასრულეს გეგმა პროდუქციის მთელ რიგ მნიშვნელოვან სახეობათა მიხედვით: საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ — კრამიტის, პუციოლანის ცემენტის და თაბაშირის გამოშვებისა, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ — გრეიანა, ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილებისა, ბურდასეული, ბამბისა და ზოგი შეკერილი ნაწარმისა, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ — ერბო-კარაქისა, ყველისა, ნაყინისა და ყინულისა; ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — გუთნებისა, საწოლებისა, სასწორებისა, ლუსმნისა და ალუმინის ჭურჭლისა. საერეწო კოოპერაციის სამმართველომ ვერ შეასრულა აგურის, კრამიტის, დახერხილი ხე-ტყის, ლუსმნის, ტყავეულის, ფეხსაცმლის, შალის ქსოვილების, საზედატანე ტრიკოტაჟის, საკონდიტრო ნაწარმის და სანის გამოშვების გეგმა. საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციამ ვერ შეასრულა — კირის, დახერხილი ხე-ტყის, საოჯახო ჭურჭლეულის, ტყავის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების, საზედატანე ტრიკოტაჟის, წინდის ნაწარმისა და სანის გამოშვების გეგმა.

მრეწველობის უმნიშვნელოვანეს ნაწარმთა გამოშვების გეგმის შესრულებამ მაისში შეადგინა (პროცენტობით): მარგანეცის სასაქონლო მადანი—105, ქვანახშირი—85, ნავთობი—104, ელეკტროენერგია—109, ლითონსაჭრელი დაზგები — 106, საქსოვი დაზგები — 110, ცემენტი — 117, შიფერი — 112, აგური—88, კრამიტი—64, კირი — 92, ასანთი—103, შეწებებული ფანერი — 146, დახერხილი ხე-ტყე—74, სამასალე მერქნის გამოზიდვა—38, ქაღალდი—102, შალის ქსოვილები—112, აბრეშუმის ქსოვილები—96, გრეიანა — 78, წინდის ნაწარმი—104, სათეთრეული ტრიკოტაჟი—109, საზედატანე ტრიკოტაჟი—49, ფეხსაცმელი — 98, ქრომის ტყავეული—92, საწოლები — 72, ერბო-კარაქი—64, მცენარეული ზეთი—88, ჩაი (პირველადი დამუშავებისა)—50, ყურძნის ღვინო — 79, პაპიროსი—117, სპორტი—104.

რესპუბლიკის საწარმოთა უმეტესობამ მიაღწია მაისისათვის დაწესებული გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, როგორც საერთო პროდუქციის, ისე ნაწარმთა ნომენკლატურის მიხედვით.

თვიური გეგმები ვერ შეასრულეს საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობის შემდეგმა საწარმოებმა: ფაბრიკა „საქტრიკოტაჟმა“ გეგმა შეასრულა 96 პროცენტით, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანამ—95, ტყიბულქვანახშირის ტრესტმა—81, ახალციხის შახტსამმართველომ — 22, ენგურის ქაღალდის კომბინატმა — 89, ქუთაისის საკონსერვო ქარხანამ — 59 პროცენტით. ქუთაისის სამთო მანქანათშენებელმა ქარხანამ, თბილისის მარგარინის ქარხანამ, საქართველოს ნავთის ტრესტმა, ფოლად-თუჯის სამსხმელო ცენტრალურმა ქარხანამ, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა თუმცა შეასრულეს, მაგრამ მაისში ჩამორჩნენ ძირითადი ნაწარმის გამოშვებისა და პროდუქციის ასორტიმენტის მხრივ.

რესპუბლიკური მრეწველობიდან მაისის გეგმა ვერ შეასრულეს: ბათუმის ფანერის ქარხანამ, რომელმაც მოგვცა გეგმის 99,5 პროცენტი, ახმეტის სახერხმა ქარხანამ—79, თბილისის საავეჯო ფაბრიკამ—56, საქართველოს ხე-ტყის დამზადების ტრესტმა—33, ქუთაისის მეოთხე სამკერვალო ფაბრიკამ—98, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატმა—97, თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკამ—82, მახარაძის აბრეშუმის ძაფსაგრეხი ფაბრიკამ — 78, ზუღუტკიძის აბრეშუმის ძაფსახვევემა ფაბრიკამ—77, სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევემა ფაბრიკამ—72, ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატმა—69, სამტრესტმა — 96, ლუდლემონათის ტრესტმა — 94, საქართველოს ჩაის ტრესტმა—67, თბილისის ხორცკომბინატმა—95 და ა. შ.

ზოგ საწარმოში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა თუმცა შეასრულეს, მაგრამ ამასთან ჩამორჩნენ ასორტიმენტის მიხედვით ნატურალური პროდუქციის გამოშვებაში. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნიან: ნოსარის აგურის ქარხანა, ფეხსაცმლის პირველი და მეორე ფაბრიკები, პირველი, მეხუთე და მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკები, საგალანტერეო, აბრეშუმსაქსოვი და ბამბის ფაბრიკები, თბილისის მაცივარკომბინატი, კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა.

ლენინის ქოხთან

სესტრორეცკი, 17 ივნისი. (საქდესი). ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ყოველწლიურად ათასობით ადამიანი მიდის რაზლივში, რომ ინახულოს ისტორიული ადგილები, სადაც 1917 წელს კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის მიერ დევნის გამო იმალებოდა ვ. ი. ლენინი.

დამთავრებულია მშენებლობა კეთილმოწყობილი მოასფალტებული მაგისტრალისა ისტორიულ ქოხამდე. გზის ორივე მხარეს დარგულია ხეები. მთავრდება ქოხის ახლო მდებარე მოედნის მოასფალტება.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფიის გამოცემა სომხურ ენაზე

ერევანი, 16 ივნისი. (საქდესი). სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ სომხურ ენაზე გამოსცა ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფია.

აბრეშუმის ჭიის ახალი მაღალმოსავლიანი ჯიშიდან

ლენინაბადი, 16 ივნისი. (საქდესი). ოთხი წლის წინათ ლენინაბადის კოლმეურნეობა „ბოლშევიკმა“ შეიქმნა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება — თუთის აბრეშუმის ჭიის ჯიშისაცდელი პუნქტი, რომელიც ერთადერთია ტაჯიკეთში. პუნქტმა წარმატებით გამოცადა აბრეშუმის ჭიის ათი ახალი ჯიში და გაიზარდა ფუხეცის მეაბრეშუმეთა მდიდარი გამოცდილება.

ლენინაბადის ოლქის მეაბრეშუმეები ფართოდ იყენებენ „საბჭოთა—1“ და „ბაღდად-პასალის“ აბრეშუმის თესლს მაღალმოსავლიან ჰიბრიდებს, რომლებიც გამოცდილია პუნქტში. ამ ჯიშების პარკი მაღალი ხარისხისაა.

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ Ა. Მ. ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

17 ივნისს ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში შედგა დიდი პროლეტარული მწერლის ა. მ. გორკის ხსოვნის საღამო.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა ა. ჟარკუმა. მოგონებით გამოვიდა კ. გიორგაძე. კ. ნ. გუსევმ—ლ. ნ. ტოლსტოის პირადმა მდივანმა—ილაპარაკა ლ. ნ. ტოლსტოისა და ა. მ. გორკის შეხვედრების შესახებ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი დედაქალაქის ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით.

ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში გაიხსნა ა. მ. გორკის ნაწარმოებთა გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია მწერლის პირველი წიგნები, გამოცემული გასული საუკუნის დასასრულს, მის ნაწარმოებთა სხვადასხვა გამოცემა—„დედა“, „ჩემი უნივერსიტეტები“, „არტამონოვების საქმე“, „კლიმ სამგინის ცხოვრება“, პამფლეტების, პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიების კრებულები. ცალკე სტენდებზე განლაგებულია პიესები და წიგნები ბავშვებისათვის. (საქდესი).

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲞᲘᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

ᲓᲜᲔᲞᲠᲝᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘ, 16 ივნისი. (საქდესი). საზოგადოება „დინამოს“ სპორტ ოლიმპიადაზე მსუბუქი წონის ძალოსანმა კომკავშირელმა ვასილ პივენმა დაამყარა სიმძიმეთა აწევის ახალი მსოფლიო რეკორდი. მან ორივე ხელით აწია 110 კილოგრამი და 200 გრამის წონის შტანგი.

თავის წონითს კატეგორიაში საბჭოთა შტანგისტმა ვასილ პივენმა 1 კილოგრამითა და 200 გრამით გადააჭარბა ესტონელ ციონს მიერ დამყარებულ ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს.

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ Ა. Მ. ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

შეჯიბრებაში გამარჯვებული

ტყიბული. (საკ. კორ.). მაისში წამყვანი პროფესიის ბევრმა მუშახემ ისახელა თავი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით.

ლენინის სახელობის შახტის ქვანახშირის მნარეველებს შორის პირველობა მოიპოვა სტახანოველმა გ. გოგერიამ, რომელმაც ქვანახშირის მონგრევის გეგმა 265,8 პროცენტით გაანადგა.

სამი თვის განმავლობაში სტახანოვური მუშაობისათვის შახტის საპატიო დაფაზე შეტანილ იქნენ მოწინავე მნგრეველები ვლ. ცინაძე, გ. ლაღიძე და მებიგე დ. ცინაძე.

სტალინის სახელობის შახტის მნგრეველთა შორის პირველ ადგილზეა ორდენისანი მეშახტე პ. შენგელია, მებიგეებს შორის—გ. კუბლაშვილი. პირველმა გეგმა შეასრულა 174, ხოლო მეორემ—197 პროცენტით.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში თანმიმდევრული სტახანოვური მუშაობისათვის შახტის საპატიო წიგნში შეტანილი არიან აგრეთვე მოწინავე მნგრეველები დ. ტრუფანოვი და შ. გზობარა.

მოლოტოვის სახელობის შახტის მნგრეველთა შორის პირველობა მოიპოვა ძველმა მეშახტემ შ. კახიძემ, რომელმაც დავალება 198 პროცენტით შეასრულა.

ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა 15 ივნისისათვის ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შეასრულეს 32,8 პროცენტით, ხოლო ივნისისა—61,3 პროცენტით.

გონიოს ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის კრეფის ივნისის გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით, სალაბაურის—52,9, ჩაქვის — 59,8, ოჩხამურის—52,6, ცეცხლაურის — 53,9, ნატანების—200, ლაითურის — 66,8, ნასაყირალის — 64,6, წეროკეიძის — 43,2, დიდი ჯუონის დ 92,7, ლესიჭინის —58,5, ენგურის—61,9, ნარაზენის — 59, ხეცერის — 53,8, წალენჯიხის — 60,5, ანიგვარის—62,9, ოქაჩის — 61,5 პროცენტით. ხოლო აჭარის ჩაის ტექნიკუმმა გეგმა 70 პროცენტით შეასრულა.

პროპაგანდისტთა კადრების მომზადება

ჩვენი ქვეყანა მტკიცედ მიდის ახალი ძლევამოსილების გზით. განუხრელად ვითარდება მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა, ხელოვნება. სულ უფრო ფართო მასშტაბს იღებს იდეოლოგიური მუშაობა. ერთგვარი გაფაქიზებისება მიღწეულია მიმდინარე სასწავლო წელს პარტიის წევრთა და კანდიდატთა პოლიტიკური განათლებაშიც.

ამჟამად პოლიტსკოლებსა და წრეებში მიმდინარე შემოუღებელი მეცადინეობანი, მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების დამოუკიდებლად შემსწავლელთათან ჯგუფობრივი თეორიული გასაუბრებანი ცხადყოფენ, რომ კომუნისტთა იდეური დონე გაიზარდა, მათი ცოდნა უფრო საფუძვლიანი და მტკიცე გახდა.

პარტიას ყოველთვის მიაჩნდა, რომ მარქსისზმ-ლენინიზმის პროპაგანდა მაღალი იდეური დონე უპირველესი მნიშვნელობის საქმეა. ლენინი და სტალინი პრაქტიკულ აღნიშნავდნენ ხაზგასმით პროპაგანდისტთა მაღალ პასუხისმგებლობას და მიუთითებდნენ, რომ პროპაგანდისტული მუშაობა უნდა მიეხდოს მხოლოდ ღირსეულ ადამიანებს, რომელთაც ცოდნით შეიარაღებულებს, უნარი შესწევთ ბოლშევიზმი ასწავლონ ჩვენს კადრებს.

სოციალისტური მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გიგანტურ მუშაობაში პარტიამ შესძლო აღიზრდა ასეულ ათასობით პროპაგანდისტი. ისინი არიან მშრომელთა მორის ბოლშევიკური იდეოლოგიის აქტიური გამტარებლები, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველისმქონე იდეებით კადრების მებრძოლი აღმზრდელები.

პროპაგანდისტთა რიგების ახალგაზრდა ძალებით შევსება განუწყვეტლივ მიმდინარეობს. პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის შედეგების მხრივ ყველაზე სასიხარულოა პროპაგანდისტთა შემადგენლობის გაუმჯობესება. თითქმის ნახევარ მათგანს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება აქვთ. სენინარების, წრეებისა და პოლიტსკოლების ხელმძღვანელებად მუშაობდა პარტიული, საბჭოთა და საქმიანური ბუნების მნიშვნელოვანი ჯგუფი. ამიტომაც, პროპაგანდისტთა რიგები ამ უკანასკნელ დროს შეიესო პოლიტიკურად ყველაზე გამოცდილი და მომზადებული კომუნისტებით. ეს მოწმობს, რომ ბევრმა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ სწორად გიგო თავისი ამოცანა პარტიული განათლების დარგში და თავის სისხლხორცეულ საქმედ მიიჩნია პროპაგანდისტთა შემადგენლობის განუწყვეტელი გაუმჯობესება.

მაგრამ, არ შეიძლება ითქვას, რომ უკვე ყველა პროპაგანდისტი თავისი ცოდნითა და გამოცდილებით შეესაბამება მათთვის წაყენებულ მაღალ მოთხოვნებს. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიმდინარე წლის დამდეგს იაროსლავლის პარტიულ ორგანიზაციას მიუთითა, რომ მას გადაეწყვეტა რჩება მთავარი ამოცანა: ყველა წრისა და სკოლის უზრუნველყოფა კვალიფიციური პროპაგანდისტებით. ეს მითითება პირდაპირ შეეხება არა მარტო იაროსლავლის, არამედ ბევრ სხვა პარტორგანიზაციასაც.

ზოგან დღემდე ჯერ კიდევ ვერ აღმოუფხვრიათ ფორმალიზმი და სკოლარობა მეცადინეობის ჩატარებაში. ცოცხალ საუბარს ხშირად ცვლიდნენ კითხვა-პასუხის მეთოდით. ეს იწვევდა ცალკეული ფაქტებისა და დებულებების მექანიკურ დაზეპირებას, ხელს უწყობდა სასწავლო მასალის არა შემოქმედებითს განხილვასა და გაანალიზებას, არამედ ზეპირობას. რეგიონული თეორიის სწავლებაში ამგვარი ნაკლოვანებანი შეიძენა იყოს მხოლოდ იქ, სადაც უყურადღებოდ ეპყრობიან პროპაგანდისტთა კადრების შერჩევასა და აღზრდას, არ უშვებენ მათ დახმარებას.

აი რატომ უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში პროპაგანდისტთა შემადგენლობის შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფას. არასოდეს არ უნდა დავიწყოთ, რომ პროპაგანდისტი ძირითადი ფიგურაა პარტიულ განათლებაში.

პროპაგანდისტთა იდეურ-თეორიული მომზადებისა და მეთოდური ცოდნის დონის ამაღლებისადმი პარტიის ზრუნვის ახალი გამოვლინებაა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ დღეებში მიღებული გადაწყვეტილება 1949 წლის ზაფხულის პერიოდში პოლიტსკოლების, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიებისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების ხელმძღვანელთა კურსების მოწყობის შესახებ. პარტიის საქალაქო კომიტეტებთან იქმნება სამთვიანი კურსები ქალაქის პროპაგანდისტებისათვის. ისინი ისწავლიან ძირითადი სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ. საოლქო კომიტეტებთან, სამხარეო კომიტეტებთან, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან ეწყობა ერთთვიანი კურსები სოფლის პროპაგანდისტებისათვის, რომლებიც სწავლის დროს თავისუფლდებიან ძირითადი სამუშაოსაგან.

კურსების სასწავლო გეგმებში ზოგად თეორიულ პროგრამასთან ერთად შეტანილია მეთოდიკის დარგში ლექციებისა და სემინარული მეცადინეობის თემები. სოფლის პროპაგანდისტთათვის განზრახულია აგრეთვე ლექციებისა და მოხსენებების სერიის წაკითხვა იდეოლოგიური, სამეურნეო მუშაობის საკითხებზე პარტიის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა და სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

პროპაგანდისტთა კურსების ყველგან მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე ეხება იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა დიდი რაზმის მომზადებას. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ საქმის ორგანიზაციას მთელი პასუხისმგებლობით უნდა მიეუდგეთ.

უშრარეს ყოვლისა, საჭიროა ახლავე დავიწყოთ კურსების კანდიდატთა გულდასმით და მოფიქრებით შერჩევა. ისინი უნდა იყვნენ ყოველმხრივ ღირსეული ადამიანები, რომელთაც თავი გამოიჩინეს პროპაგანდისტულ მუშაობაში, უნარი შესწევთ უზრუნველყონ მეცადინეობის მაღალი ხარისხი. პოლიტსკოლის, წრის ხელმძღვანელი — ეს გულგრილი მედავითნე კი არ არის, არამედ მარქსისტულ-ლენინური იდეების აქტიური პროპაგანდისტია, პარტიის მებრძოლია. პრინციპულად გამოწრთობილი, უნარიანი პროპაგანდისტი რომ გახდე, საჭიროა ბევრი ისწავლო და გამოცდილება შეიძინო.

დიდი მნიშვნელობა აქვს პროპაგანდისტთა კურსებისათვის მასწავლებელთა შერჩევას. ეს სამუშაო შეიძლება ვანდოთ მხოლოდ მაღალკვალიფიციურ ლექტორებს, ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებს, რომელთაც შეუძლიათ მსმენელებს გააგებინონ რეგიონული თეორიის არსი. ამისათვის ჩვენ გვყავს საკმაოდ გამოცდილი და ყოველმხრივ განათლებული პარტიული პროპაგანდისტები, რომელთაც შეუძლიათ ჩაუნერგონ თავიანთ მსმენელებს თეორიის სიყვარული და ასწავლონ მათ პრაქტიკულ მუშაობაში პარტიის იდეური იარაღის გამოყენება.

პროპაგანდისტთა კურსების მოწყობის ერთგვარი გამოცდილება უკვე გვაქვს. მაგალითად, იაროსლავლის პარტიული ორგანიზაცია, ახორციელებს რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებებს, შეუდგა პროპაგანდისტთა კურსების მოწყობას. ქალაქ იაროსლავლსა და შჩერბაკოვში უკვე დაიწყო მეცადინეობა ქალაქის პოლიტსკოლებისა და წრეების 500 ხელმძღვანელმა. ისინი შეარჩიეს პირადად პარტიის რაიკომების მდივნებმა და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებმა. შემდეგ კურსების მსმენელთა კანდიდატები დაამტკიცა საქალაქო კომიტეტმა. მასწავლებლად გამოყოფილი არიან საუკეთესო იდეოლობრივი ძალები.

პარტიულმა ორგანებმა სანამუშოდ უნდა მოაწყოს კურსების მუშაობა, რომ პროპაგანდისტებმა შეძლონ ღრმად შეისწავლონ თავიანთი საგანი, აიმაღლონ თეორიული დონე. საპროგრამო მასალის შესწავლასთან ერთად მეთოდიკის დარგში სამინარული მეცადინეობისას სასარგებლოა გამოვიყენოთ წრეებისა და სკოლების საუკეთესო ხელმძღვანელთა ცოცხალი გამოცდილება. ეს, უეჭველია, მეტ სარგებლობას მოუტანს პროპაგანდისტებს და კარგ გაღლესას მოახდენს ჩვენს პარტიულ განათლებაზე.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა შეუქმნან პროპაგანდისტებს საკნარო პირობები მათი თეორიული და მეთოდური სრულყოფისათვის, განუწყვეტლივ აღზარდონ ისინი და განსაკუთრებით გაუფრთხილდნენ მათ.

თავის მხრივ პროპაგანდისტები ვალდებული არიან განუწყვეტლივ ახსოვდეთ, რომ პარტია მათ ახლობს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეს. მხოლოდ ბეჯითი მუშაობა მისცემს მათ შესაძლებლობას უფრო ღრმად გაგონ და შეითვისონ მარქსიზმ-ლენინიზმის არსი, დაეუფლონ პროპაგანდის ყველაზე ხელმისაწვდომ ფორმებს. ჩვენ ისეთი პროპაგანდისტული კადრები გვჭირდება, რომლებიც მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაშრომების მტკიცე ცოდნაზე დაყრდნობით თავისუფლად გაერკვევიან საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, შეძლებენ პასუხი გასცენ მშრომელთა ყოველ პოლიტიკურ კითხვას, განმარტონ ყველა თეორიული დებულება, ჩაუნერგონ თავიანთ მსმენელებს მაღალი იდეურობა, ბოლშევიკური რწმენა და სიმტკიცე.

„პრავდის“ 18/VI მოწინავე

ბოლშევიკების ბრძოლა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ

ვ. ი. ლენინის თხზულებათა 23-ე ტომი ამ თხზულებათა მეოთხე გამოცემის 28-ე ტომის გამოსვლის გამო

ვ. ი. ლენინის თხზულებათა 23-ე ტომი შეიცავს იმ ნაშრომებებს, რომლებიც დაწერილია შეიცავრიმი 1916 წლის აგვისტოდან 1917 წლის მარტამდე. ტომში შესული ნაშრომებნი ასახავენ ლენინის, ბოლშევიკების პარტიის შეურიგებელ ბრძოლას იმპერიალისტური ომისა და II ინტერნაციონალის ოპორტუნისტთა გამაცმლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ლენინის ამ პერიოდის ნაშრომებში განსაზღვრულია რევოლუციური სოციალ-დემოკრატების ამოცანები პირველი მსოფლიო ომის ეითარებაში, განვითარებულია ლენინური თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, დასაბუთებულია დეპეშელება სამარხოდიანი და უსამართლო ომების შესახებ და ახალ ისტორიულ პირობებში განვითარებული ბოლშევიკური პროგრამა ნაციონალურ საკითხში. ტომში აგრეთვე შესულია 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში დაწერილი ნაშრომებნი. ამ ნაშრომებებში ლენინი იძლევა რევოლუციაში ელსობრივი ძალების თანაფარდობის გენიალურ ანალიზს და სახავს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის პერსპექტივებს.

* * *

ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმპერიალიზმის ანალიზისადმი მიძღვნილ ნაშრომებს. სტატიაში „იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშეა“ ლენინი განსაზღვრავს იმპერიალიზმს, როგორც კაპიტალიზმის განსაკუთრებულ ისტორიულ სტადიას და აღნიშნავს, რომ იმპერიალიზმი არის „(1) — მონოპოლისტური კაპიტალიზმი; (2) — პარაზიტული ანუ ლპობადი კაპიტალიზმი; (3) — მომაკვდავი კაპიტალიზმი“ (გვ. 94).

ლენინმა ნათლად დაამტკიცა, რომ კაპიტალიზმი წინაალმდეგობებმა მის იმპერიალისტურ სტადიაში მიაღწიეს უკიდურეს ზღვარს, რომლის იქითაც იწყება სოციალისტური რევოლუცია. ამხილებდა რა რენეგატ კაუტსკის, რომელიც ჩქმალავდა იმპერიალიზმის წინააღმდეგობებს, ლენინი წერდა: „...ინგლისმა, საფრანგეთმა, შეერთებულმა შტატებმა და გერმანიამ—ამ ერთი მეჯ. სახელმწიფოებმა—უსაზღვრო განვითარეს მონოპოლიები, იღებენ ზემოგებას ასეული მილიონებით, თუ არა მილიარდების რაოდენობით, „ზურგზე ასხვენ“ სხვა ქვეყნებს ასეულ და აეულ მილიონობით მოსახლეობას, ებრძვიან ერთმანეთს განსაკუთრებით მდიდარი, განსაკუთრებით მოქანცული, განსაკუთრებით იოლად ნადაყლი გასაყოფად“ (გვ. 104).

ლენინს ამ მრისხანე, მწვავე სტრიქონებს უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვთ ჩვენს დრმდე. ისინი უაღრესად მკაფიოდ ამიშვლებენ დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების მისწრაფებას დაიმონონ მთელი დანარჩენი კაცობრობა, როგორც ეს ამჟამად განსაკუთრებით თვალსაჩინოს ჩანს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მაგალითით.

ამხილებდა რა ბურჟუაზიის იმპერიალისტურ პოლიტიკას და ცხადყოფდა რა ოპორტუნიზმის არსს, ლენინი წერდა ორ ტენდენციაზე იმპერიალიზმის ეპოქაში. „ერთი მხრივ, ბურჟუაზიისა და ოპორტუნისტების ტენდენცია — გადააქციონ ერთი მუჭა უმდიდრესი, პროვილეგიანი ერები „მუდმივ“ პარაზიტებად დანარჩენი კაცობრობის სხეულზე, „განცხრომას მიეცნენ“ ზანგების, ინდოელებისა და სხვ. ექსპლოატაციით, მორჩილებაში იყოლიონ ისინი უაღრესად გამანადგურებელი ტექნიკით აღჭურვილი უახლესი მილიტარიზმის საშუალებით. მეორე მხრივ, ტენდენცია **მასებისა,** რომლებიც წინანდელზე უფრო ძლიერ იჩაგრებიან და რომლებიც იტანენ იმპერიალისტური ომებით გამოწვეულ ყოველ ტანჯვას, — მოიმორჩილ ეს უღელი, დაამხონ ბურჟუაზია. ახლა ამ ორ ტენდენციას შორის ბრძოლაში გარდუვალად განვითარდება მუშათა მოძრაობის ისტორია“ (გვ. 105).

იმპერიალიზმის წინაალმდეგობათა ანალიზის საფუძველზე ლენინ თავის განთქმულ ნაშრომში „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამაში“ აეითარება თეორიას თავდაპირველად ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, რაც მან პირველად ჩამოაყალიბა უფრო ადრე, 1915 წელს, სტატიაში „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“.

„კაპიტალიზმის განვითარება, — წერდა ლენინი, — სხვადასხვა ქვეყანაში უაღრესად უთანაბრად ხდება. სხვანაირად არც შეიძლება იყოს სასაქონლო წარმოების დრმს. აქედან — გარდუვალი დასკვნა: სოციალიზმი ერთსა და იმავე დროს ვერ გაიმარჯვებს **ყველა** ქვეყანაში. იგი თავდაპირველად გაიმარჯვებს ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში, ხოლო დანარჩენები ერთხანს დარჩებიან ბურჟუაზიულნი ან წინანდელ ბურჟუაზიულნი. ამან უნდა გამოიწვიოს არა მარტო უთანხმოებანი, არამედ სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის პირდაპირი მისწრაფებაც — განადგაროს სოციალისტური სახელმწიფოს ძლევამოსილი პროლეტარიატი. ამ შემთხვევებში იქნება ჩვენს მხრით კანონიერი და სამართლიანი იქნებოდა“. (გვ. 67).

სოციალისტური რევოლუციის ლენინურმა თეორიამ გიგანტურად გააფართოვა მარქსიზმი, რევოლუციური პერსპექტივა მისცა თვითეული ქვეყნის პროლეტარებს, გასაქანი მისცა მათს ინიციატივას თავიანთი, ნაციონალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხელმძღვანელობდა რა ამ თეორიით, მსოფლიოში ყველაზე რევოლუციურმა რუსეთის პროლეტარიატმა მოახდინა ძლევამოსილი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. ხელმძღვანელობს რა ამ თეორიით, რომელიც შემდგომ ბრძოლებში ასახავდა ბოლშევიკური პარტიის წინამძღოლობით სსრ კავშირში ამშენა სოციალიზმი და ახლა მტკიცედ მიდის კომუნიზმისაკენ.

* * *

ანალიზს უკეთებდა რა კაპიტალიზმის თავისებურებებს მისი განვითარების იმპერიალისტურ სტადიაში, ლენინმა გენიალურად ცხადყო ორგანული კავშირი იმპერიალიზმსა და ოპორტუნიზმს შორის და ნათლად დაამტკიცა, რომ „დიდ“ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბურჟუაზიას ზემოგების ხარჯზე მოისყიდა „თაყვანი“ მუშების ზედაფენა, შექმნა თავისი აგენტურა მუშათა მოძრაობაში — ბურჟუაზიული მუშათა პარტიები, რომლებიც გადაიქცნენ „კაპიტალიზმის **ერთგულ ქოფაკებად,** მუშათა მოძრაობის **გამხრწნელებად“** (გვ. 99).

ლენინი ამხილებს პოლიტიკური პრივილეგიებისა და ნასუფრალის მიგდების დახვეწილ სისტემას, რის საშუალებითაც ბურჟუაზია ზრდის თავის აგენტებს მუშათა მოძრაობაში. ამავე მიმართულებით, აღნიშნავს ლენინი, მოქმედებს თავიდან ბოლომდე ცრუ ბურჟუაზიული დემოკრატიის მთელი მექანიზმი. „არჩევნებს ჩვენს დრმდა არ შეიძლება გვერდი აუარო; უმასებრდ იოლად ვერ წასვლ, მასები კი წოვნის ბეჭდვისა და პარლამენტარიზმის ეპოქაში **არ შეიძლება** გაიყოლიო, თუ არ გამოიყენე ფართოდ განწმეტებული, სისტემატური გატარებული, მტკიცედ მოწყობილი სისტემა მლიქნელობისა, სიცრუისა, თაღლითობისა, ბოღლინი და ჰიპულარული სიტყვებით ოინბაზობისა და მარჯვნივ და მარცხნივ ყოველგვარი რეფორმების და მუშებისთვის ყოველგვარი სიკეთის დაპირებისა,—ოღონდ კი მათ ხელი აიღონ ბურჟუაზიის დიქტატურაზე“ (გვ. 106).

ლენინის მიერ აწერილი სისტემა მუშების მოტყუებისა ამჟამად კიდევ უფრო ფართოდ განვითარდა „კაპიტალიტურ ქვეყნებში, ხოლო ამ შავბნელ საქმეში ბურჟუაზიის გულმოდგინე თანამეშვეწინი არიან შრომელთა უბორგეტესი მტრები, მემარჯვენე სოციალისტები — ბევნები, ტლლები, ბლუმები, შუბაბერები და მათი მსგავსნი.

ამხილებდა რა აშკარა სოციალ-შოვინისტებსა და ცენტრისტებს, რომლებიც სავსებით გადავიდნენ იმპერიალისტურ თვალრობათა მხარეზე და ეხმარებოდნენ მათ მძარცველური ომის წარმოებაში, ლენინმა წამოაყენა რევოლუციურ - ინტერნაციონალისტური ტაქტიკა იმპერიალისტური ომიდან გამოსულისა იმ აზრით, რომ იგი სამოქალაქო ომად გადაგვექცია. „...**არ შეიძლება** თავი დავაყოფოთ იმპერიალისტური ომისა და შიმშილის ამ საშინელი, მსოფლიო კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი ურჩხულის კლანჭებს, თუ არ დავტოვეთ ბურჟუაზიული ურთიერთობის ნიადაგი, თუ არ გადავეთიდეთ რეგიონული ღონისძიებებზე, თუ არ თვმართეთ როგორც რუსეთის, ისე მსოფლიო პროლეტარიატის უდიდეს ისტორიულ გმირობაა“ (გვ. 314-315).

ლენინმა თავის ნაშრომებში ცხადყო, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში რევოლუცია პრაქტიკულ გარდუვალობად იქცა. იგი გვასწავლის, რომ პროლეტარიატის გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ ბურჟუაზიის ძალაუფლების რევოლუციური დამხობის გზით. პროლეტარიატმა, რომელიც თავის დიქტატურას დამაკვიდრებს, უნდა შექმნას თავისი შეიარაღებული ძალები, რომლებიც მის ესაჭიროება როგორც დამხობილი ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობის ჩასახშობად, ისე კაპიტალისტური სახელმწიფოს მხრივ სამხედრო ინტერვენციის გასანადგურებლად. მთელი ისტორია საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელმაც 1918-1920 წლებში განადგურა ინტერვენტები და 1941 წელს სსრ კავშირში ეერგიულად შემოკრიალი გერმანული ფაშისტები, უცილობლად ადასტურებს ლენინის ამ დებულების სისწორეს.

ლენინმა გადაჭრით გააკრიტიკა ტროცკისტული ლოზუნგი „ევროპის შეერთებული შტატებისა“ კაპიტალიზმის დროს და ჩაბუგანმიდ აღნიშნა, რომ **ოპორტუნისტები,** რომლებიც ამ ლოზუნგს იცავენ, „მუშაობენ იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან ერთად **სწორედ** იმ მიმართულებით, რომ შეიქმნას იმპერიალისტური ევროპა ეზოისა და აფრიკის ზურგზე...“ (გვ. 99).

